# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 30 სექტემბერი 2005 №224 (2547) ფასი 50 თეთრი

# 0:21

## საქართველოს 19-წლამდელ გოგონათა ნაკრები განადგურდა

2



## ბოლნისი სადარაჯოზე: ფერო მოსულა

დღეს მერვე ტური იწყება

3




## როგორ მოუგო არტმედიამ პეტრჟალკას

რა ხდება ბრატისლავაში?

8

# ფეხბურთელებმა ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ფეხბურთის ფედერაციამ თავისი

## კალაძემ კობიაშვილი საუკეთესოდ დაინახა

...„შალკე“ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, მოგება აუცილებლად სჭირდებოდა, ჩვენ კი ქულითაც კმაყოფილები დავრჩით.

...ჯგუფის ოთხეულიდან საუკეთესო შანსები ჩვენ გვაქვს. ისედაც, „მილანი“ უფრო მაღალი დონის გუნდია, ვიდრე „შალკე“, პსვ და „ფენერბაჰჩე“.

...„შალკე“ ძალიან მაგრად დაგვიხვდა, კოლექტიური გუნდია და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს.

...ლევან კობიაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ძალიან მაგრად ითამაშა და „შალკეს“ დიდი სარგებლობა მოუტანა.

...ფედერაციის და ნაკრების თავკაცებთან ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა. ფეხბურთელებმა ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ფედერაციამ თავისი; დანიაში ნაკრების მომავალზე ვისაუბრეთ.

ფედერაცია ცდილობს ქართული ფეხბურთის წინსვლას და, იმედია, სწორ არჩევანს გააკეთებს.

მესამე გვერდი



მილანელთა პირველი საგოლე კომბინაცია კახა კალაძემ (№4) დაიწყო და კლარენს ზეედორფმა (შუაში) დააგვირგვინა

# აი, ასეთი ასათა




მალხაზ ასათიანმა კარიერაში მორიგი გადამწყვეტი გოლი გაიტანა, ამჯერად „ბრანის“ კარში. პირველ შეხვედრაში მოსკოვის „ლოკომოტივს“ 2:1 ჰქონდა მოგებული, მაგრამ მეორეში 1:2-ს აგებდა და მალხაზის გოლმა სულზე მიუსწრო. შემდეგ მოსკოველებმა მესამეც შეაგდეს.

მოიგო შოთა არველაძის „ალკმაარმაც“ (3:1), რომელიც თავიდან 0:1-ს აგებდა. შოთას არ გაუტანია, მაგრამ გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა და წესით არველაძის გოლები ამ შემოდგომაზე მრავლად გველის.



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 27:0 | 6 |
| ისლანდია | 2 | 2 | 0 | 0 12:0 | 6 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 0 0:11 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 0:28 | 0 |

# 0:21

როგორი სათქმელია: საქართველოს 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა რუს თანატოლებთან 0:21 წააგო!

დიახ, ზოგჯერ ასეთი უმოწყალოცაა საფეხბურთო ფორტუნა... თურმე ასეთი ანგარიშებიც ფიქსირდება ფეხბურთში: 0:21! ხომ არ გეწყინათ?!

## უეფას თასი 2005-2006
### პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ლევსკი (ბულგარეთი) | 1:0 | ოსერი (საფრანგეთი) (1:2) |
| კოპენჰაგენი (დანია) | 0:1 | ჰამბურგი (გერმანია) (1:1) |
| კორკი (ირლანდია) | 1:2 | სლავია (ჩეხეთი) (0:2) |
| მეტალურგი (უკრაინა) | 2:2 | პაოკ (საბერძნეთი) (1:1) |
| ევერტონი (ინგლისი) | 1:0 | დინამო (რუმინეთი) (1:5) |
| მიუპა (ფინეთი) | 0:3 | გრასჰოპერი (შვეიცარია) (1:1) |
| ბრაგა (პორტუგალია) | 1:1 | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (0:0) |
| მარსელი (საფრანგეთი) | 0:0(პენ.4:1) | ბეერსხოტი (ბელგია) (0:0) |
| ცსკა (ბულგარეთი) | 1:0 | ლევერკუზენი (გერმანია) (1:0) |
| მიდტიულანდი (დანია) | 1:3 | ცსკა (რუსეთი) (1:3) |
| სამპდორია (იტალია) | 1:0 | სეტუბალი (პორტუგალია) (1:1) |
| მაინცი (გერმანია) | 0:2 | სევილია (ესპანეთი) (0:0) |
| შიროკი ბრიეგი (ბოსნია) | 0:1 | ბაზელი (შვეიცარია) (0:5) |
| რაპიდი (ავსტრია) | 1:0 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) (1:1) |
| დნიპრო (უკრაინა) | 5:1 | ჰიბერნიანი (შოტლანდია) (0:0) |
| ოსასუნა (ესპანეთი) | 0:0 | რენი (საფრანგეთი) (1:3) |
| ვისლა (პოლონეთი) | 0:1 | გიმარაეში (პორტუგალია) (0:3) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | 3:1 | კრილია (რუსეთი) (3:5) |
| დომჟალე (სლოვენია) | 1:0 | შტუტგარტი (გერმანია) (0:2) |
| სტიაუა (რუმინეთი) | 3:1 | ვოლერენგა (ნორვეგია) (3:0) |
| სტრასბური (საფრანგეთი) | 5:0 | გრაცერი (ავსტრია) (2:0) |
| ლოკომოტივი (რუსეთი) | 3:2 | ბრანი (ნორვეგია) (2:1) |
| ანართოსისი (კვიპროსი) | 0:4 | პალერმო (იტალია) (1:2) |
| სპორტინგი (პორტუგალია) | 1:2(დ.დ.2:3) | ჰალმშტადი (შვედეთი) (2:1) |
| ქსანთი (საბერძნეთი) | 0:0 | მიდლსბრო (ინგლისი) (0:2) |
| პარტიზანი (სერბეთი) | 2:5 | მაკაბი (ისრაელი) (2:0) |
| არისი (საბერძნეთი) | 0:0 | რომა (იტალია) (1:5) |
| მალმიო (შვედეთი) | 1:4 | ბეშიქთაში (თურქეთი) (1:0) |
| გენკი (ბელგია) | 0:1 | ლიტექსი (ბულგარეთი) (2:2) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | 5:0 | ბანიკი (ჩეხეთი) (0:2) |
| ჰერტა (გერმანია) | 3:1 | აპოელი (კვიპროსი) (1:0) |
| ესპანიოლი (ესპანეთი) | 2:0 | ტეპლიცე (ჩეხეთი) (1:1) |
| ტილბურგი (ჰოლანდია) | 1:3 | მონაკო (საფრანგეთი) (0:2) |
| აუსტრია (ავსტრია) | 2:1 | ვიკინგი (ნორვეგია) (0:1) |
| ციურიხი (შვეიცარია) | 2:1 | ბრონდბიუ (დანია) (0:2) |
| ვროცლინი (პოლონეთი) | 2:4 | ლანსი (საფრანგეთი) (1:1) |
| გალათასარაი (თურქეთი) | 1:1 | ტრომსიო (ნორვეგია) (0:1) |
| ლოკომოტივი (ბულგარეთი) | 1:2 | ბოლტონი (ინგლისი) (1:2) |
| დებრეცენი (უნგრეთი) | 0:2 | შახტარი (უკრაინა) (1:4) |
| აეკ (საბერძნეთი) | 0:1 | ზენიტი (რუსეთი) (0:0) |

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
ტურკუ 0:1 ტამპერე

### ჰოლანდია
პირველი დივიზიონი
X ტური
ჰელმონდი 4:1 ოსი

# მწვრთნელის დანიშვნა ფედერაციის საქმეა

*„შალკე“ — „მილანის“ საჩემპიონთალიგო შეხლას ქართველმა გულშემატკივარმა სხვანაირი ინტერესით უყურა — თამაში სანახაობრივიც ხომ გამოვიდა და თან კახა კალაძემ და ლევან კობიაშვილმაც, საუკეთესოები თუ არ ყოფილან, ჯიგრიანად კი ითამაშეს. გელზენკირხენული 2:2 კალაძის „მილანს“ უფრო აძლევდა ხელს, რადგან იტალიელები ჯგუფში გალიდერდნენ. ამ მატჩის გარდა, კახა კალაძეს სანაკრებო თემაზეც ვკითხეთ...*



## კახა კალაძე: შალკესთან ფრე ხელს გვაძლევდა

— საინტერესო თამაში იყო და სხვანაირს არც ველოდი. სანახობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ბრძოლა ერთი წუთით არ განელებულა.

**— ფრეს ლოგიკურად მიიჩნევ?**

— ვფიქრობ, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა. ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, ნებისმიერს შეეძლო მოგება, მაგრამ წასაგებადაც ორივე ცოდო იყო. „შალკე“ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, მოგება აუცილებლად სჭირდებოდა, ჩვენ კი ქულითაც კმაყოფილები დავრჩით.

**— ანუ, ჯგუფიდან გასვლა არ გაგიჭირდებათ?**

— ყოველ შემთხვევაში, ჯგუფის ოთხეულიდან საუკეთესო შანსები ჩვენ გვაქვს. ისედაც, „მილანი“ უფრო მაღალი დონის გუნდია, ვიდრე „შალკე“, პსვ და „ფენერბაჩე“.

**— თუ იყო თამაშისას ისეთი მომენტი, როცა იფიქრეთ, მორჩა, „შალკეს“ შანსი აღარ აქვსო? ან პირიქით, ბოლო წუთებზე შიში ხომ არ დაგეუფლათ, როცა „შალკე“ მწვავედ გიტევდათ?**

— რა დროს ფიქრი იყო, საქართველოს ჩემპიონატი ხომ არ არის... მთელი 90 წუთი ბრძოლაში ვიყავით ჩაბმულნი. ოდნავაც რომ მოვდუნებულიყავით, ბოლო წუთებზე მეტოქე არ გვაპატიებდა. შიში და მსგავსი რამეები რა მოსატანია. უბრალოდ, „შალკე“ ძალიან მაგრად დაგვიხვდა, კოლექტიური გუნდია და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს.

**— ლევან კობიაშვილის თამაშზე რას იტყვი?**

— ვფიქრობ, ლევანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ძალიან მაგრად ითამაშა და „შალკეს“ დიდი სარგებლობა მოუტანა.

**— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ: ყაზახეთთან და საბერძნეთთან მატჩებისგან რას ელი?**

— მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ. გასვლის შანსი აღარ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოვეშვათ. ხარისხიანი, კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ.

**— დანიასთან თამაშის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან სამსაათიანი საუბარი გქონდათ. გავიგეთ, რომ მთლად მშვიდი ლაპარაკი არ ყოფილა. მაინც, რა ითქვა?**

— ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა. ფეხბურთელებმა ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ფედერაციამ თავისი... ნაკრების მომავალზე ვისაუბრეთ, იანვარში კენჭისყრა იქნება და ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ახალი მეტოქეები შეგვხვდებიან, ახალი ეტაპი გველის... ერთი სიტყვით, მომავალზე ვილაპარაკეთ.

**— ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, ამ ეტაპზე უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანი თანხა ფედერაციას არ აქვს, საამისოდ 500 ათასიან მილიონ დოლარამდეა საჭირო...**

— არ ვიცი, მაგ საკითხში ჩახედული არ ვარ. ვიცი, ფედერაცია ცდილობს ქართული ფეხბურთის წინსვლას და, იმედია, სწორ არჩევანს გააკეთებს. იქ ისეთი ხალხი მუშაობს, რომლებსაც სიტუაციის სასიკეთოდ წარმართვა შეუძლიათ.

**გიორგი მაშაკიძე**


## განცხადება

„ს.კ. ბარსელონა“ (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია“ ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.
რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.
გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
8 ტური ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ბოლნისი სადარაჯოზე: ფერო მოსულა



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“ ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩია

## გლდანი, ზღვა და მსაჯთღელვა

*საჩემპიონთალიგო და საუეფასთასო სამდღიანმა სანახაობამ ჩაიარა, დღეიდან კი სამდღიანი საქართველოს ჩემპიონატის მერვე ტური იწყება. ჩვენი „ლივერპული“ და „ჩელსი“ აგერ, „სიონი“, „ბორჯომი“ და სხვები არიან. ჰოდა, მათ მივხედოთ...*

*ტრადიციასავით დამკვიდრდა, რომ ყოველ ტურში რაღაც ცხელ-ცხელი სკანდალური უნდა მოხდეს. ცხადია, რაც ნაკლები იქნება უხეირო მსაჯობაზე და ზოგიერთი კლუბების ალიანსზე ლაპარაკის საფუძველი, მით უკეთესი...*

ტური გლდანური „ამერი“ — „ვიტ ჯორჯიათი“ იწყება და ჩვენც აქედან დავიწყოთ: ორივე გუნდს 13-13 ქულა მოუქუჩებია, თუმც ვიტელებს ერთი მატჩი მარაგში აქვთ. აქედანაც ჩანს, რომ ძაან თამაში უნდა გამოვიდეს. აქეთ სულიკო დავითაშვილი, იქით ოთარ მარცვალაძე — ორივე გოლზე დაგეშილი ფორვარდია და ამათ ნიჭიერი ახალგაზრდების მთელ ჯგუფს თუ მივუმატებთ...

ამერულ-ვეტერინარული ჯახი შარშან საქართველოს თასის მეოთხედფინალშიც იყო, სადაც „მწვანეებმა“ ორივე თამაში მოიგეს, მაგრამ გლდანელები მაშინ პირველ ლიგაში იყვნენ და ეს ის შემთხვევაა, შვიდ-რვა თვის წინანდელ ამბებს ისტორიას რომ ვაბარებთ, ანუ მას შემდეგ „ამერი“ საგრძნობლად მოღონიერდა.

რა უნდა დაუპირისპიროს სექტემბერში უგოლოდ დამშვრალმა გუნდმა ამავე თვეში კარშეუხებელ გუნდს? პასუხი მარტივია: „ბურთი მრგვალიას“ პრინციპს თუ არ მივყვებით, ვერაფერი. „ცხინვალზე“ და „ბორჯომზე“ გვაქვს ლაპარაკი, სამაჩაბლოს კლუბმა ერთხელ უკვე მოიგო ისნურ „ოლიმპზე“, მაგრამ ეს „თბილისთან“ მოახერხა, „ბორჯომი“ კი, მგონი, სხვა დონეა — ჰოდა, თუ სასწაული არ მოხდა, ქორიძე-გეწაძე-აფციაურ-გაბისკირიას გუნდი მორიგ სამ ქულას მიითვლის და უწყვეტ მოგებათა სერიას შვიდ მატჩამდე გაზრდის.

ბათუმში ახლა საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს, მაგრამ შაბათს ეპიცენტრი კორტებიდან საფეხბურთო სტადიონზე გადაინაცვლებს: ზღვისპირულ დერბიში ოთარ გაბელიას „ბათუმი“ ფოთის „კოლხეთს“ შეერკინება — ორივე გუნდმა მოიგო წინა ტურში და ხასიათზეც იქნებიან. კოლხებს ფორვარდი ზვიად ქუთათელაძე აცოცხლებს, რომელმაც განვლილ ოთხ საშინაო მატჩში ხუთი გოლი შეაგდო, მაგრამ სტუმრად არც „ქუთეს“ და არც მთლიანად „კოლხეთს“ მეტოქის კარის ბადე არ აუფართხალებიათ...

ტრადიციის მოშლის იმედადაა „თბილისიც“, რომელიც ქუთაისში ჩადის და „ტორპედოსთან“ შეეცდება პირველი ქულის (ან ქულების) აღებას. დრო მჭირდება გუნდის დასაყენებლადო, ამბობს თბილისელთა თავკაცი გიორგი დევდარიანი და სწორედაც რომ დროა — თბილისელებმა ეს თამაშიც თუ წააგეს, გავარდნამდე ბევრი კი აღარ დააკლდებათ...

გორის „დილას“ ავტობუსით რაზრახი არ დასჭირდება, ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მათმა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ წინა ტურში ფოთში ნამარცხევს თქვა, ექვსსაათიანი მგზავრობის შემდეგ ეგრევე სტადიონზე გასვლა და მოგება ზღაპარიაო. ასი პროცენტით მართალია ხაჩიძე, ვერაფერში ვამტყუნებთ. მოკლედ, გორი კიდევ ერთი საშინაო სამი ქულის მოლოდინშია და ისე ჩანს, „სოხუმთან“ ამ მისიის შესრულება არ უნდა გაუჭირდეს.

საკვირაო მატჩის შედეგები ერთი შეხედვით იოლი გამოსაცნობია: კახა ცხადაძის „დინამო“ „სპარტაკს“ ესტუმრება „შევარდენზე“ და ორმარცხიანი სერიის დასავიწყებლად ამაზე მისწრება-თამაში სად უნდა გამოძებნოს?! ოღონდ, დარწმუნებით ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ უთავკაცებს ამ მატჩში „დინამოს“ და მეორეც, ერთიც ვნახოთ, სპარტაკელი აკაკი დევაძეც კლდესავით დადგეს კარში...

„ლოკომოტივი“ კი ექსპრესივითაა, მიჯრით ხუთი თამაში მოიგო და მართალია, დამაჯერებლობა აკლია, მაგრამ თელავის „კახეთს“ ქულების აცანცვლა არ უნდა გააბედინოს. თავის მხრივ, ჯემალ მახარაშვილის თავკაცობა კახელებს მოუხდათ, წინა ტურში „ტორპედოს“ აჯობეს და, ვინძლო, „მიხეილ მესხზე“ სიურპრიზიც მოამზადონ.

კვირაზე გადავხტით და შაბათის ერთი მატჩი არ გვიხსენებია. უბრალოდ, ტურის ცენტრალური თამაში ტკბილ ლუკმად მოვიტოვეთ: ბოლნისში „სიონი“ „ზესტაფონს“ დაუხვდება და ჩავთვალოთ, რომ ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი 12 კაცით ითამაშებს — სავსე „თამაზ სტეფანიას“ და „ალა და ფანობას“ ვგულისხმობთ.

„სიონს“ მცველი თენგიზ ჩიკვილაძე და ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე დაუბრუნდება, თემურ მახარაძეც სალ-სალამათ შემადგენლობას ჩაიყვანს თავის ყოფილ კლუბთან სათამაშოდ და ბევრი იქნება დამოკიდებული იმერელთა დაცვაზე — დვალი-მიკუჩაძის ფეხშეწყობილი დუეტი თუ შეაჩერეს, საქმე გაუიოლდებათ, თუმც ალბათ დუღილი ნახევარდაცვაში უფრო იქნება: ქვემოქართლელებსაც და ფეროელებსაც სხარტი, გონიერი შუახაზელები ჰყავთ და, პროგნოზი თუ გნებავთ, კი, ბატონო, ერთი ან, დიდი-დიდი, ორი გოლის თამაში უნდა იყოს.

ერთი შეხედვით, „ზესტაფონი“ უფრო ამბიციური კლუბი ჩანს, თუმც თემურ მახარაძემ ერთხელ უკვე თქვა, 17-18 წლის ბიჭებით რა ჩემპიონობაზეა ლაპარაკიო. ჩემპიონობა არც ხვიჩა ქასრაშვილს დასცდენია პირიდან, მაგრამ ცხრილი უტყუარია — „სიონი“ ლიდერია.

**ილია ნანობაშვილი**

თბილისი. 30 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

**ამერი — ვიტ ჯორჯია**

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი); **ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

თბილისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

**ბორჯომი — ცხინვალი**

ბოლნისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ზესტაფონი**

ქუთაისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო

**ტორპედო — თბილისი**

გორი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — სოხუმი**

ბათუმი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო

**ბათუმი — კოლხეთი**

თბილისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი

**სპარტაკი — დინამო**

თბილისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — კახეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 14:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 1 | 2 | 6:5 | 13 |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:3 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:6 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ბათუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:7 | 9 |
| კახეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 9 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | 6 |
| ტორპედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 1:5 | 4 |
| სოხუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| თბილისი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | 0 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს 17 პირველი ლიგა ჩემპიონატი პირველი წრე 7 ტური

**ამერი 2 1:2 მეშაქრე**

**თბილისი 2 0:1 საგარეჯო**

**ვიტ ჯორჯია 2 0:1 დინამო 2**

**დღეს**

**გურია - მესხეთი**

**გაგრა - ზუგდიდი**

**მაღაროელი - მეშახტე**

**ლოკომოტივი 2 - ჩიხურა**

**მერანი - ლიახვი**

**რუსთავი - ზესტაფონი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 16 |
| დინამო 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:3 | 14 |
| მესხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| საგარეჯო | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| ზუგდიდი | 6 | 3 | 2 | 1 | 3:2 | 11 |
| მეშაქრე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | 11 |
| ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 13:5 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 4:2 | 10 |
| რუსთავი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| მერანი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| მეშახტე | 6 | 2 | 2 | 2 | 8:5 | 8 |
| გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 13:10 | 7 |
| გაგრა | 6 | 1 | 4 | 1 | 2:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| თბილისი 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | 4 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| ლიახვი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:14 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 3 |

# ბერძენთა 20 21-წლამდელი



თბილისურ მატჩში ქართველმა და ბერძენმა 21-წლამდელებმა 1:1 ითამაშეს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები 7 და 11 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნით მატჩებს გამართავს ყაზახეთის და საბერძნეთის 21-წლამდელებთან.

აზიელთა შემადგენლობა ორიოდ დღის წინ გაგაცანით, ახლა კი ბერძენთა გუნდსაც გადავავლოთ თვალი. მწვრთნელმა სტელიოს აპოსპორისმა 20 ფეხბურთელს უხმო: *კოსტას ანდრიოლასი, იოანის არამპაცისი, ვასილის ტოროსიდისი, ავრაამ პაპადოპულოსი, გრიგორის პაპაზახარიასი, ნიკოს კარამპელასი, გრიგორის მაკოსი, სოტირის ბალაფასი, ალექსის ციოლისი, სოტირის ლეონტიუ, დიმიტრის პლიაგასი, ნიკოს არამპაცისი, პანაიოტის ლაგოსი, ფილიპოს დარლასი, ხარილაოს პაპასი, ვანგელის ხრისტოდოლოპულოსი, გეორგიოს გალიციოსი.*

ბერძენი 21-წლამდელები შეკრებას 3 ოქტომბერს დაიწყებენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენამდე, ისინი 7 ოქტომბერს სტუმრობენ დანიის ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელმაც მომდევნო ეტაპის საგზური უკვე გაინაღდა.

**ბაჩა შალამბერიძე**



რუსლან ტოტროვი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ითამაშე და მოიგე
### უკრაინამ ზეიმისთვის მოიცალა

**უკრაინის** ნაკრები უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზეა, თუმცა შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე ერთი მატჩი კიდევ დარჩა — 8 ოქტომბერს დნეპროპეტროვსკში ალბანეთს მასპინძლობს და ნამატჩევს გრანდიოზული ზეიმიცაა დაგეგმილი.

მოკლედ, უკრაინელებს მოლხენის საბაბი აქვთ და ვგონებთ, უკვე ნაკლებად გაინტერესებთ, რა შემადგენლობას დაახვედრებს ოლეგ ბლოხინი ალბანელებს ან სულაც რა ანგარიშით დამთავრდება ეს მატჩი.

თუმცა ჩვენ მაინც გაგაცნობთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ნაკრების იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ბოლოჯერ ითამაშებენ მათთვის ტრიუმფალურ მუნდიალ-2006-ის შესარჩევში...

***მეკარეები:*** *ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), მაქსიმ სტარცევი (კრივბასი);*

***მცველები:*** *ანდრეი ნესმაჩნი, ვლადისლავ ვაშჩუკი, სერგეი ფიოდოროვი (ყველა დინამო), ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტარი), ანდრეი რუსოლი, ალექსანდრ რადჩენკო (ორივე დნიპრო);*

***ნახევარმცველები:*** *ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი (ორივე დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი), სერგეი ნაზარენკო, ალექსანდრ რიკუნი, ოლეგ შელაევი (სამივე დნიპრო), სერგეი შიშჩენკო (მეტალურგი, დონეცკი);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსეი ბელიკი, ანდრეი ვორობეი (ორივე შახტარი), ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ოლეგ ვენგლინსკი (აეკ, საბერძნეთი).*

**ბაჩა შალამბერიძე**



მსოფლიოს ჩემპიონატისკენ ტრიუმფალურ სვლას უკრაინის ნაკრები ამ სტადიონზე დააგვირგვინებს



დანიის ნაკრებს საკუთარი თავის და ალბანეთის იმედი აქვს

# ალბანეთზე ჩამოკიდებული

**დანიის** ნაკრები 8 და 12 ოქტომბერს, შესაბამისად, საბერძნეთს და ყაზახეთს ეთამაშება. ვიკინგთა თავკაცმა მორტენ ოლსენმაც უკვე შეარჩია საამმატჩებოდ სასურველი ფეხბურთელები.

შეგახსენებთ, რომ თუ თურქები სტუმრად ალბანეთს ვერ მოუგებენ, მაშინ დანიელები საბერძნეთ-ყაზახეთთან მოგებებით პლეი ოფში გადიან.

***მეკარეები:*** *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), იესპერ კრისტიანსენი (კოპენჰაგენი);*

***მცველები:*** *თომას ჰელვეგი (მიონხენგლადბახი, გერმანია), ნიკლას იენსენი (ფულემი, ინგლისი), ბრაიან პრისკე (პორტსმუთი, ინგლისი), პერ ნილსენი (ბრონდბიუ), მიკაელ გრავგაარდი (კოპენჰაგენი), ლარს იაკობსენი (კოპენჰაგენი);*

***ნახევარმცველები:*** *თომას გრავესენი (რეალი, ესპანეთი), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), დანიელ იენსენი (ვერდერი, გერმანია), თომას კალენბერგი (ოსერი, საფრანგეთი);*

***თავდამსხმელები:*** *იონ დალ ტომასონი (შტუტგარტი, გერმანია), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია), იესპერ გრონკიაერი (შტუტგარტი, გერმანია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია), სორენ ლარსენი (შალკე, გერმანია), მორტენ სკოუბო (ბრონდბიუ).*

**ბაჩა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 11 | 7 | 3 | 1 | 16:5 | 24 |
| თურქეთი | 11 | 5 | 5 | 1 | 22:9 | 20 |
| საბერძნეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| დანია | 10 | 4 | 4 | 2 | 21:11 | 16 |
| ალბანეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 9:17 | 12 |
| საქართველო | 10 | 2 | 3 | 5 | 14:24 | 9 |
| ყაზახეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 5:27 | 0 |

# ქართველები არსად გაგვიშვია
### ალანია კორექტულად ალაპარაკდა

**ვლადიკავკაზის** „ალანიამ“ მწვრთნელი იცხაკ შუმი რომ გაათავისუფლა და მის ნაცვლად ალექსანდრ იანოვსკი დანიშნა, გეცოდინებათ. ქართველთმოძულე შუმმა გუნდი კრიზისიდან ვერ გამოიყვანა, ბოლო რვა ტურში ოდენ ორი ქულა მოიპოვა და ქუდიც დაიხურა...

ახლა „ალანიაში“ სხვა სიტუაციაა — გუნდი „როსტოვთან“ გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება და დიდი შანსია, ძირითად შემადგენლობაში ძველებურად გამოჩნდეს ტრანსფერზე დაყენებული ექვსი ქართველი. ყოველ შემთხვევაში, კლუბის გენერალური მენეჯერი რუსლან ტოტროვი ამას სულაც არ გამორიცხავს: „ქართველი ფეხბურთელების გუნდში დაბრუნებაზე ლაპარაკი არაკორექტული მგონია, რადგანაც ისინი არსად გაგვიშვია და, შესაბამისად, არც არავინ მოგვიკვეთია. ისინიც ისეთივე წევრები არიან გუნდისა, როგორც ყველა დანარჩენი. რაც შეეხება მათ ძირითადში გამოჩენას, ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ იანოვსკი ქართველების მზადყოფნით კმაყოფილი იქნება, ბუნებრივია, ათამაშებს კიდეც“.

**ბაჩა შალამბერიძე**

## თქვენი ინტერვიუ
# ალექსანდრე იაშვილთან
### «ფრაიბურგი» გერმანია

*ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია“: გერმანული „ფრაიბურგის“ კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ.*

*ასე რომ, იაქტიურეთ...*

მოგვმართეთ *ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა:* **Starmail@Caucasus.net**



# ფაბიო კაპელომ ზლატანი გაასილაქა

## იუვემ კასანო იუარა

**ფაბიო კაპელომ** „რაპიდთან“ მატჩის შემდეგ ზლატან იბრაჰიმოვიჩი გაკიცხა:

„რომ არა ზედმეტი თავდაჯერებულობა, წესით, ყველაფერი პირველ ნახევარში უნდა მოგვემთავრებინა. მუტუს გოლამდე ყველაფერი ბეწვზე ეკიდა. აბიატის უნდა ვუმადლოდეთ, რომ მატჩი სულ სხვა ანგარიშიც არ დასრულდა. ბევრი მომენტი შევქმენით. იბრაჰიმოვიჩმა ორი ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა. საქმე გამოუყენებელ მომენტებში არ არის, საქმე მიზეზშია. ზლატანი საკუთარი თავის გარდა ვერავის ამჩნევდა. ვერაფრით გამიგია, როცა კონტრშეტევაზე გადავედით, რატომ არ მიაწოდა მან დელ პიეროს პასი“.

კვირას „იუვე“ „ინტერს“ ხვდება. კაპელო რთული არჩევანის წინაშე დგას — ვინ დააყენოს თავდასხმაში:

„მიხარია, რომ ასეთი „პრობლემის“ წინაშე ვდგავარ. უამრავი თამაში გვაქვს სეზონში ჩასატარებელი და კარგი ფეხბურთელების სიჭარბე მხოლო და მხოლოდ წაადგება საქმეს“.

„იუვეს“ მაისურით გატანილმა სადებიუტო გოლმა ადრიან მუტუ ძლიერ გაახარა: „საბედნიეროდ, ჩემი კარიერის ყველაზე ცუდი ეტაპი დასრულდა. ახლა კვლავ იმედით ვარ აღვსილი. რაც შეეხება გუნდში კონკურენციას, მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ, სად და რომელ თამაშში დააყენოს ძირითად შემადგენლობაში. თუ „იუვეს“ დასჭირდა, ფლანგზეც ვითამაშებ“.

ტურინელთა ერთ-ერთმა მმართველმა ანტონიო ჯირაუდომ კი განაცხადა, რომ „იუვემ“ მიუხედავად „რომას“ შემოთავაზებისა ანტონიო კასანოს შეძენაზე უარი თქვა.



ანტონიო ჯირაუდო

„დედაქალაქელებს ამანტინო მანსინის შესახებ მივმართეთ, მაგრამ მათ ბრაზილიელის გაყიდვა იუარეს და კასანო შემოგვთავაზეს. თუმც ჩვენ ხუთი მაღალი კლასის ფორვარდი გვყავს და ამით დიდად არ დავინტერესებულვართ“— აღნიშნა ჯირაუდომ.

**ზურაბ გოცირიძე**

# მაკაის უგოლობამ ბაიერნი შეაშფოთა

**მიუნხენის** „ბაიერნი“ ახლა გერმანული ბუნდესლიგის ლიდერია, ჩემპიონთა ლიგაში მოპოვებული 6 ქულით კი ამ გათამაშების მერვედფინალში გასვლას მიუახლოვდა. თუმც ბავარიულ გიგანტის მწვრთნელ ფელიქს მაგათს თავსატეხიც გასჩენია — გუნდის მთავარმეგოლე როი მაკაის, რაც ტრავმა მოურჩა, 5 თამაშია, მეტოქის კარი არ დაულაშქრავს.

ჰოლანდიელმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო — როიმ 2005-06-ის ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში 6 გოლი გაიტანა. ოღონდ მერე, 1 სექტემბერს, ნიდერლანდელთა ეროვნული გუნდის ვარჯიშზე მიღებულმა მუხლის ტრავმამ ჩვეული რიტმიდან კარგა ხნით ამოაგდო. მაკაი „ალიანს არენას“ გრანდს 14 სექტემბერს დაუბრუნდა, თუმც ვერც მაშინ ვენის „რაპიდთან“ და ვერც შემდეგ 4 შეხვედრაში მოწინააღმდეგის მეკარეები ძველებურად ვეღარ დაამწუხრა.

„ნათელია, რომ მაკაი თავის საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის. თუმც, დარწმუნებული ვარ, როის შესანიშნავ ბურთაობას ტურინის „იუვენტუსთან“ ვიხილავთ“ — განაცხადა გუშინ „ბაიერნის“ დამრიგებელმა „ბილდთან“ ინტერვიუში. „იუვესთან“ სანჩემპიონო ლიგო ჯახი 18 ოქტომბერს გაიმართება, თავად გოლსდანატრებული ფეხბურთელი კი გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ ყველაფერს რაც შეიძლება, სწრაფად გამოასწორებს.

„თამაშიდან თამაშამდე ბურთაობის დონეს აუცილებლად გავაუმჯობესებ. მალე ფანები ჩემს გატანილი გოლებით ისევ გაიხარებენ“ — თქვა „ალიანს არენას“ მეგოლემ.

ამასობაში კი ჰოლანდიელის კრიზისი „ბაიერნს“ მკვეთრად დაეტყო — ბავარიელებმა ჩემპიონთა ლიგასა და გერმანიის ჩემპიონატში ერთად მხოლოდ 4 გოლი გაიტანეს...

**ლადო ხომერიკი**




როი მაკაის გოლები დაუძველდა

# ნუ გეშინია, ვინჩენცო, გათამაშებთ!

**„სკუადრა აძურას“** თავკაც მარჩელო ლიპის განცხადებამ რომ თუ იაკინტას სათამაშო პრაქტიკა არ ექნება, ვერ გამოიძახებს, ეს უკანასკნელი ძალიან შეაშფოთა.

„უდინეზეს“ ფორვარდი ნაკრების მთავარი მწვრთნელის გეგმებში კი შედიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იაკინტა ჰაერში გამოკიდებული დარჩა, სიტუაცია შეიცვალა.

„ამჟამად დიდად არ ვნერვიულობ. სულ ერთი კვირა გავიდა, რაც ვინჩენცო უთამაშებელია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ნაკრები დიდ ძალას დაკარგავს. მე ვერ გამოვიძახებ ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც თავის კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ ექნება“ — განაცხადა მარჩელო ლიპიმ.

როგორც ჩანს, „დიადი ლიპის“ განცხადებამაც შეუწყო ხელი „უდინეზეს“ ბოსების მოლბობას და ისინიც დათმობაზე წავიდნენ. მათი განცხადებით, იაკინტა „ლაციოსთან“ საკვირაო მატჩში ითამაშებს. მანამდე კი კონტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები უნდა მოაგვარონ. დირექტორ პიეტრო ლეონარდის თქმით, თუ სერიე კოზმი დროულად მიიღებს გადაწყვეტილებას, იაკინტა უკვე „ლაციოსთან“ გამოჩნდება.

„ის ჩვენი საკუთრებაა 2007 წლამდე და სანამ გავყიდით, უნდა ვათამაშოთ“ — დაასრულა ლეონარდიმ.

კაცმა არ იცის, რამდენ ხანს დარჩება იაკინტა „სტადიო ფრიულიზე“. სავარაუდოდ, იანვარში ის რომელიმე დიდ კლუბში გადაბარგდება. მანამდე კი უდინელთა თავკაცების მიერ გამოჩენილი კეთილი ნების წყალობით გუნდში სათამაშო პრაქტიკაც ექნება და ხელფასსაც მიიღებს, ოღონდ გაზრდაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ვინჩენცო იაკინტა „უდინეზეს“ საუკეთესო ფეხბურთელია. ჩემპიონთა ლიგის გახსნით მატჩში მან „პანათინაიკოსის“ კარში სამი გოლიც გაიტანა, მაგრამ რას იზამ, უდინელთა მსგავსი გაქანების გუნდები ასეთ ფეხბურთელებს ვერ ინარჩუნებენ.

**ზურაბ გოცირიძე**

# მაფიამ ბრაზილიელი მსაჯები შეაშინა

**ბრაზილიაში** იქაურ მსაჯთა მიერ ჩადენილ მაქინაციებთან დაკავშირებით გვარიანი სკანდალია ატეხილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ადგილობრივი ჩემპიონატის 11 ჩატარებულ მატჩს სპეციალური კომისია შეისწავლის და ეგებ შედეგები გააუქმონ კიდეც. ეს თამაშები ედილსონ პერეირა და კარვალიუმ განსაჯა, რომელიც პოლიციამ მაფიასთან თანამშრომლობაში ამხილა. როგორც ამბობენ, არბიტრი „საჭირო ხალხს“ შეხვედრის პერიპეტიებს წინასწარ ამცნობდა — პირველი ჯარიმა, ყვითელი ბარათების რაოდენობა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ ისინი კი ტოტალიზატორის მეშვეობით ბლომად ფულს შოულობდნენ.

„მაფიასთან ჩემი კავშირი ნებაყოფლობით არ მომხდარა. ისინი შვილების მოკვლით დაემუქრნენ და მეც იძულებული ვიყავი, ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი“ — აცხადებს თავად კარვალიუ.

ექსმიტანილი მსაჯის თქმით, ბოროტმოქმედებს მის გარდა სხვა არბიტრებიც შეუშინებიათ: „ტოტალიზატორების ამბავი მარტო მე არ მეხება. მაფიას ბევრი სხვა მსაჯიც ჰყავდა გამოჭერილი. როცა შენი ოჯახის წევრებს ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებიან, გმირობისა და ზედმეტი პატიოსნების დრო აღარ არის“.

**ლადო ხომერიკი**

# ამადეო ბაბუა

**„თავს** ვარსკვლავად არ ვთვლი, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ კარგი მცველი ვარ. მოედანზე ჩემს შესაძლებლობებს მაქსიმალურად ვიყენებ“ — ასე დაახასიათა თავისი თავი იუბილარმა ამადეო კარბონიმ „მარკასთან“ ინტერვიუში.

40 წლის, 5 თვის და 24 დღის უკანახაზელი გუშინ ესპანური პრიმერადივზიონის ისტორიაში ყველა დროის უხუცეს მობურთალად დაასახელეს (არადა კასტილიელთა ჩემპიონატი 77 წელს მოითვლის).

აქამდე „ბაბუის“ საპატიო ტიტული ექსდეპორტივოელ დონატოს ეკუთვნოდა, თუმც იტალიელმა ამადეომ 29 სექტემბერს უხუცესის წოდება ღირსეულად შეიფერა.

„ამდენ ხანს ელიტაში ბურთაობა მოვახერხე და ვისურვებდი ჩემი გუნდისთვის მომავალშიც მომეტანოს სარგებლობა“ — თქვა „ვალენსიას“ აპენინელმა მოთამაშემ.

კარბონის რეკორდს პრიმერადივიზიონში ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრება. პაბლო ალფარო, „სევილიას“ ფეხბურთელი და ამადეოს მერე პრიმერას ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე, ამჟამად „მხოლოდ“ 36 წლისაა.

**ლადო ხომერიკი**




ამადეო კარბონი

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XI ტური

**ქოვენთრი 3:1 უოტფორდი**

1:0 ადებოლა (1), 2:0 ფლუდი (19), 2:1 იუნგი (59), 3:1 მაკშეფრი (85)

**ლიდსი 3:1 დერბი**

1:0, 2:0, 3:0 ჰულსი (31, 36, 43), 3:1 გრეგანი (73ს.კ.)

**საუთჰემპტონი 0:0 რედინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 11 | 10 | 0 | 1 | 24:10 | 30 |
| რედინგი | 11 | 7 | 3 | 1 | 19:6 | 24 |
| ლუთონი | 11 | 6 | 3 | 2 | 17:10 | 21 |
| ვულვზი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| უოტფორდი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:15 | 18 |
| ლიდსი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:10 | 17 |
| საუთჰემპტონი | 11 | 3 | 7 | 1 | 12:9 | 16 |
| ქუინზ პარკი | 11 | 4 | 4 | 3 | 10:12 | 16 |
| სტოკი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:17 | 16 |
| კარდიფი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:12 | 15 |
| კრ. პალასი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:10 | 14 |
| იფსვიჩი | 11 | 4 | 2 | 5 | 10:16 | 14 |
| პრესტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:13 | 13 |
| დერბი | 11 | 2 | 6 | 3 | 15:16 | 12 |
| ჰალი | 11 | 3 | 3 | 5 | 8:9 | 12 |
| ქოვენთრი | 11 | 2 | 6 | 3 | 13:15 | 12 |
| ნორვიჩი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:12 | 12 |
| ლესტერი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:14 | 11 |
| ბარნსლი | 11 | 2 | 4 | 5 | 17:16 | 10 |
| ბრაიტონი | 11 | 1 | 7 | 3 | 11:14 | 10 |
| ქრიუ | 11 | 1 | 6 | 4 | 10:18 | 9 |
| მილუოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:17 | 9 |
| პლიმუთი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:15 | 9 |
| უენსდი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:12 | 7 |

## იტალია

### სერია B. VI ტური

**ჩეზენა 2:1 რიმინი**

1:0 კიარამიტარო (4), 2:0 პინტო (29), 2:1 ტროტა (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | 16 |
| ატალანტა | 6 | 5 | 0 | 1 | 11:7 | 15 |
| მოდენა | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| კატანია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| ბოლონია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ტორინო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| კროტონე | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბრეშა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| არეცო | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| ვერონა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| ტრიესტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:2 | 9 |
| ჩეზენა | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 9 |
| ვიჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| რიმინი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | 6 |
| კრემონეზე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ბარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| პესკარა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| კატანძარო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| ტერნანა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |
| ალბინოლეფე | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |
| აველინო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:12 | 2 |


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური

## E ჯგუფი

### შალკე 2:2 მილანი

0:1 ზეედორფი (1), 1:1 ლარსენი (3), 1:2 შევჩენკო (59), 2:2 ჰამიტ ალტინტოპი (70)
შალკე: როსტი, ბორდონი, რაფინია, კრსტაიჩი, როდრიგესი, კობიაშვილი, პოულსენი (ბაირამოვიჩი 85), ერნსტი (ჰამიტ ალტინტოპი 68), ლინკოლნი, კურანი (სანდი 73), ლარსენი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
მილანი: დიდა, კაფუ (სტამი 77), ნესტა, მალდინი, კალაძე, პირლო, გატუზო, კაკა (რუი კოშტა 74), ზეედორფი, ჟილარდინო (ვიერი 71), შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კაკა, პაულსენი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)
60 881 მაყურებელი

# მხდალო!


AFP მელენტიევ ზენონინიდან

შალკე — მილანი 2:2. ჰამიტ ალტინტოპმა (შუაში) ბრწყინვალე გოლი გაიტანა

**კარლო ანჩელოტიმ** უეფას კრისტიან პოულსენის დასჯა მოსთხოვა, ხოლო თვითონ დანიელ ფეხბურთელს მხდალი უწოდა. პოულსენი ის კაცია, რომელსაც ევრო 2004-ზე ფრანჩესკო ტოტიმ მიაფურთხა და იტალიელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

„მილანმა" კარგად ითამაშა — თქვა ანჩელოტიმ — „შალკეს" ფეხბურთელთა უმეტესობა კი, განსაკუთრებით პოულსენი, პროვოკაციის ოსტატი ყოფილა. ის მხდალია და ჩემს მოთამაშეებს იდაყვებით ურტყამდა, როცა მსაჯი ვერ ხედავდა. პოულსენი ფეხბურთის მოედანს ახლოსაც არ უნდა გააკარო".

„მილანის" გაბრაზებულმა მწვრთნელმა მატჩი ასე შეაფასა: „თამაშის გაკონტროლებას ვცდილობდით. ზოგჯერ გამოგვდიოდა, ზოგჯერ არა, მაგრამ სანახაობრივად კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ... გუნდის ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილი ვარ. უკეთესად თამაში შეგვიძლია".

კაკა: „ეს მატჩი ომს უფრო წააგავდა, რასაც შეჩვეული არ ვარ და არც მომწონს, როცა მსაჯისგან მალულად მუჯლუგუნებს მირტყამენ. კრისტიან პოულსენი მოედანზე ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, მეტოქის ნერვების მოსაშლელად გამოვიდა."

შეცვლაზე შესულმა ჰამიტ ალტინტოპმა საუცხოო გოლი გაიტანა და „შალკეს" ქულა გადაურჩინა. ალტინტოპმა 33 მეტრიდან დაარტყა, ბურთი კი 119 კმ/სთ-ში სიჩქარით და უცნაური ტრაექტორიით გაფრინდა, რომელიც დიდამ ვერ შეაჩერა.

„კარგად ვითამაშეთ და ვფიქრობ, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით. ორჯერ დაწინაურებულ „მილანს" ორჯერვე გავუთანაბრეთ. ცხადია, ძირითად შემადგენლობაში ყოფნა მსურდა, მაგრამ მწვრთნელმა სათადარიგოებში დამტოვა. ფეხბურთელმა ხანდახან თამაში საკუთარ თავზე უნდა აიღოს, ამიტომაც გადავწყვიტე შორიდან დარტყმა და გავიტანე" — თქვა ალტინტოპმა.

რალფ რინგნიკი: „გულშემატკივრებმა ლამაზი ფეხბურთი ნახეს, მე კი გული მწყდება, რომ ვერ მოვიგეთ, რადგან შევჩენკოს გოლამდე უპირატესობას ვფლობდით და გატანა შეგვეძლო".

ანდრეი შევჩენკომ, რომელსაც გუშინ 29 წელი შეუსრულდა, განაცხადა: „მიხარია, რომ გავიტანე, თუმც 2:1-ზე რამდენიმე კარგი მომენტიდან ერთიც რომ გამოგვეყენებინა, სამ ქულას წავიღებდით".

### ფენერბაჰჩე 3:0 პსვ

1:0, 2:0 ალექსი (40პ, 68), 3:0 აპია (90)
ფენერბაჰჩე: დემირელი, ტურაჩი, ვალჩი, ლუსიანო, ოზატი, მარკო აურელიო, აპია, საჰინი, ნობრე (იობრათი 90), ანელკა, ალექსი (არსლანი 90)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
პსვ: გომესი, ადო, ოიერი, ლუსიუსი (ფერეირა 54), ალექსი, კოკუ, სიმონსი, აფელაი, ბისლი, ფარფანი, ჰესელინკი
მწვრთნელი: გუუს ჰიდინკი
გაფრთხილება: [illegible], [illegible], ოიერი, ტურაჩი
გაძევება: ჰესელინკი (45)
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
42 000 მაყურებელი

**გუუს ჰიდინკი** 15 წლის წინ „ფენერბაჰჩეს" რომ წვრთნიდა, სტამბოლიდან ხელცარიელი გაუშვეს. კრისტოფ დაუმის „ფენერმა" ათკაცა პსვ დაჩაგრა, სამი გაუტანა და კიდევ ორჯერ მეტის გატანაც შეეძლო. თურქთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ალექსმა დუბლი შეასრულა და ერთი საგოლე პასი მიითვალა.

ჰოლანდიელთა ფორვარდმა იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც მსაჯმა ყვითელი ბარათი აჩვენა, „ფენერბაჰჩეს" სასარგებლოდ კი პენალტი დანიშნა. ალექსმა ბურთი ცხრიანში შეჭედა და ანგარიში გახსნა. ტაიმის ბოლო წუთზე მაისურაზე მეტოქის დაქაჩვისთვის ვენეგოორ ოფ ჰესელინკი გააძევეს.

კაცნაკლული სტუმრები მეორე ტაიმში მასპინძლებს ველარ გაუძალიანდნენ. ანელკას პასით ალექსმა მეორე გაიტანა, შეხვედრის მიწურულს კი აპიამ იყოჩაღა და სხვაობა სამამდე გაზარდა.

**მაკა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| შალკე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## F ჯგუფი

### რეალი 2:1 ოლიმპიაკოსი

1:0 რაული (9), 1:1 კაფესი (48), 2:1 სოლდადო (86)
რეალი: კასილიასი, რამოსი, სალგადო (დიოგო 80), ელგერა, რ. კარლოსი, ბექემი, პ. გარსია (გრავესენი 85), ბაპტისტა (სოლდადო 79), გუტი, რობინიო, რაული
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (კაშისი 40), ანატოლაკისი, კოსტულასი, გეორგატოსი, კაფესი, ტურესტოლტიდისი (ბაბანგიდა 90), რივალდო, კონსტანტინუ (ოკასი 85), ჯორჯევიჩი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიდი
გაფრთხილება: სტოლტიდისი, რივალდო, პ. გარსია, გუტი, ოკასი, კაფესი
გაძევება: რამოსი (90)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
62 473 მაყურებელი

# სოლდადო და იღბალი რომ არა...


AFP მადრიდიდან

რეალი — ოლიმპიაკოსი 2:1. მადრიდელებს ახალგაზრდა რობერტო სოლდადომ (წინ) მოაგებინა

**ტრონდ სოლიდის** „ოლიმპიაკოსს" „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალთან" ფრის მიღწევაც შეეძლო. მეორე ტაიმის მესამე წუთზე პანტელის კაფესმა შორიდან ზუსტად დაარტყა და ტაბლოზე 1:1 აინთო. იქამდე კი, თამაშის დაწყებიდან მცირე ხანში, ანგარიში მასპინძელთა კაპიტანმა რაულმა გახსნა. „რეალის" ფორვარდმა ბექჰემის პასით ისარგებლა და ჩემპიონთა ლიგაში თავისი საიუბილეო, 50-ე გოლი შეაგდო. გამარჯვების სამი ქულა დამხვდურებს შეცვლაზე შესულმა რობერტო სოლდადომ 86-ე წუთზე მოუტანა.

ესპანელებმაც და ბერძნებმაც ჩემპიონთა ლიგა ცუდად დაიწყეს. „რეალმა" F ჯგუფის პირველი თამაში „ლიონთან" წააგო, ხოლო „ოლიმპიაკოსი" „რუსენბორგთან" დამარცხდა. ორივე მწვრთნელმა „ბერნაბეუს" ჯახისთვის მოიერიშე სისტემა 4-3-3 აარჩია. მადრიდელებს დაშავებული ზიდანი და სანქცირებული რონალდო არ ჰყავდათ. „სამეფო კლუბის" საყრდენი ნახევარმცველის ფუნქცია პაბლო გარსიას დაეკისრა, ხოლო თავდასხმის სამეული რობინიომ, ჟულიო ბაპტისტამ და რაულმა შეადგინეს. ბერძნების მწვრთნელმა სოლიდმა არუნა ბაბანგიდას სათადარიგოებში დატოვება გადაწყვიტა და მოედანზე პანტელის კაფესს უხმო.

მატჩი გალაქტიკოსთა იერიშებით დაიწყო და რაულს და ბაპტისტას უკვე პირველივე წუთებზე შეეძლოთ გოლის გატანა. ასეც მოხდა. მე-9 წუთზე გონსალეს ბლანკომ ბექჰემის კარგი გადაცემის მერე თავურით შეაგდო და ძველჩაუქი და სტეფანოს რეკორდი მოხსნა. ლეგენდარულ ალფრედოს მაშინდელი ჩემპიონთა თასის შეხვედრებში 49 გოლი აქვს გატანილი, რაულის ანგარიშზე კი უკვე 50 გახლავთ. „ოლიმპიაკოსს" ანგარიშის გათანაბრების შესანიშნავი შანსი ჰქონდა — რივალდომ საჯარიმო ოსტატურად დაარტყა, თუმც იკერ კასილიასმა, სტუმართა სამწუხაროდ, ბრაზილიელის გასროლა უკუაგდო. ექსბარსელონელი რივალდო „მტერ" „რეალს" საჯარიმოს მერეც რამდენჯერმე სახიფათოდ მიეჭრა, მაგრამ კარის დალაშქვრა ვერ მოახერხა.

შესვენების შემდეგ კაფესმა მომხვდურთა ფანობა გაახარა — ბერძნის დარტყმულს აქამდე ლაზათიანად მობურთავე კასილიასი ველარ იგერიებს. სამეფო გუნდმა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ შეუტია, თუმც ფრეს ჩაბლაუჭებული ელინები ესპანელთა ერთფეროვან იერიშებს თავგანწირვით იგერიებდნენ. თითქოს ყველაფერი ამ საბრძოლო 1:1-ით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სათადარიგო ფორვარდმა სოლდადომ საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე ბექჰემის ჩაწოდება გამარჯვების გოლად გარდაქმნა. ასე რომ მასპინძლებმა თამაში მოიგეს, ბექჰემმაც დიდებულად იბურთავა და რაულმაც საიუბილეო გოლი შეაგდო. თუმცა „რეალის" ჭირვეულ ინჩადას ვინძლო უფრო ბრწყინვალე ფიესტები სჭირდება — წავიდეს ლუშემბურგო" — გაიძახიან „ბერნაბეუს" ფანები...

### რუსენბორგი 0:1 ლიონი

0:1 კრისი (45)
რუსენბორგი: იონსენი, კვარმე, სტრანდი (ბასმა 66), რისეტი, დორსინი, სკილბრედი, ბერგი, სოლი, ბრატენი, ჰელსტადი (იონსენი 68), სტორფლორი (ოდეგაარდი 59)
მწვრთნელი: პერ-მატიას ჰიოგმე
ლიონი: კუპე, რევეილერი, კრისი, კასაპა, ბერტოდი, ტიაგო, დიარა, ჟუნინიო, გოვუ (ვილტორდი 85), მალუდა, კარეუ (ფრედი 90)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბერგი, ოდეგაარდი
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
20 620 მაყურებელი

**„ლიონმა"** „ლერკენდალის" არენაზე „რუსენბორგთან" გამარჯვების შემდეგ F ჯგუფის ლიდერობა მოიპოვა. პერ მატიას ჰიოგმეს შეგირდებმა მომხვდურ გალებს ვერაფერი მოუხერხეს და პირველი ტაიმის მიწურულს კრისის გატანილი გოლიც მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა.

ნორვეგიელები თავიდან ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. თუმც ხიფათი რატომღაც სულ მათი გოლკიპერის, ესპენ იონსენის მისადგომებთან იყო „ლერკენდალის" ფანობას თამაშის დასაწყისში სტუმართა ვერცხლისწყალივით ჟუნინიომ ორჯერ გაუხეთქა გული მძაფრი შეტევით... მერე კი საერთოდ „ლიონი" გაბატონდა ჩრდილოელთა მოედანზე. მამადუ დიარას თავურის შემდეგ ვიკინგები 0:1-ს რაღაც სასწაულით გადაურჩნენ. „რუსენბორგის" ანგარიშზე კი პირველ ტაიმში ჰესტადის უიღბლო გარღვევაა — მეტოქის მეკარესთან პირისპირ გასულმა ფორვარდმა უბრალოდ, ბურთის ხეირიანად დამორჩილება ვერ შეძლო და გატანის შანსი ქარს გაატანა. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე დამხვდურთა კართან კუთხური მოაწოდეს და კრისმაც თავურით მასპინძლებს ის არასასურველი 0:1 აუნთო.

მეორე ტაიმში მწვრთნელმა ჰიოლმემ ვითომ თავისი გუნდის გალახალისება სცადა, „ლერკენდალზე" მოიერიშე ფროდე იონსენიც გამოიყვანა, მაგრამ სულ ამაოდ. ვთქვათ მხოლოდ, რომ მთელი 45 წუთის განმავლობაში „ლიონის" გოლკიპერ კუპეს მარტო ერთხელ მოუწია ბურთისთვის ბრძოლაში ჩაბმა — ეს 73-ე წუთზე შელბრედის დარტყმისას გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური

**C ჯგუფი**

**ლივერპული 0:0 ჩელსი**

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია, ტრაორე, ლუის გარსია, ჰამანი, ჯერარდი, ალონსო, კრუჩი, სისე (მორიენტესი 78)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ფერეირა, კარვალიო, გალასი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი (კრესპო 75), რობენი (შ. რაიტ-ფილიპსი 66), დროგბა (ჰუტი 90)
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ
**გაფრთხილება:** ალონსო, მაკელელე, რობენი, ლამპარდი, ტერი
**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)
42 743 მაყურებელი

# რევანში გადაიდო

**მატჩი,** რომელსაც მთელი საფეხბურთო სამყარო დიდი ინტერესით ელოდა, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ძალიან დაძაბული და ხისტი გამოდგა. არც გოლები გასულა. თუმც ერთმანეთს „ლივერპული" და „ჩელსი" ხვდებოდნენ და ამით ყველაფერი ნათქვამია.

ლონდონელებს, რომლებსაც რევანშის წყურვილი ჰკლავდათ, „ენფილდზე" მერსისაიდელი ქომაგები სიმღერით „შეეგებნენ" — ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ. „ჩელსის" ლივერპულში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ჟოზე მაურინიუს გუნდი სკუზერების გუგუნს არ დაუბნევია. მეტიც, პირველი მომენტი სწორედ სტუმრებმა შექმნეს. მე-7 წუთზე ლამპარდმა ჯარიმიდან ჩვეულად გაისროლა, მაგრამ ხოსე რეინამ ბრწყინვალე ნახტომში ბურთი ცალი ხელით მოიგერია. ხიფათი მოჰყვა კუთხურსაც. ესპანელი მეკარე უკვე გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ მისდა ბედად იქვე არც ერთი ჩელსელი არ იყო.



AFP ლოუფრანსპრესიდან

ლივერპული — ჩელსი 0:0. მასპინძელთა კაპიტანი სტივენ ჯერარდი (მარჯვნივ) ტრავმის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა

შეხვედრის ძირითად ნაწილში კი უპირატესობა მაინც მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ მათ ნაღდი საგოლე ეპიზოდი ვერაფრით შექმნეს. „ჩელსი" უფრო იშვიათად, მაგრამ მწარედ იკბინებოდა. ძალიან აქტიურობდა „ლივერპულის" ახმახი ფორვარდი პიტერ კრუჩი. მისი ლონდონელი კოლეგა დიდიე დროგბა კი თავისიანებს დაცვაშიც გვარიანად ეხმარებოდა.

„ლივერპულის" უპირატესობა განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოიკვეთა, მაგრამ მწვავე მომენტები ორივე კართან იყო. მასპინძლებს ანგარიშის გახსნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური შანსი ჯიმი კარაგერის თავურის შემდეგ ჰქონდათ, მაგრამ ბურთი კარიდან უილიამ გალასმა გამოიტანა.

თავისი გუნდით კმაყოფილი ჩანდა რაფაელ ბენიტესი: „ძალიან კარგი მატჩი იყო, მაღალ ტემპში. იმედია, ქომაგებს მოეწონათ. ორივე კლუბი გამარჯვებას ცდილობდა, მაგრამ ამასთან ჩვენ უფრო ახლოს ვიყავით. ალბათ თავადაც დარწმუნდით, რომ „ლივერპული" „ჩელსის" დონეზე თამაშობს. ჩვენი მთავარი ჩანაფიქრი პიტერ კრაუჩისთვის მაღალი ბურთების ჩაწოდება იყო და ბევრი მწვავე მომენტიც შევქმენით, მაგრამ..."

ესპანელმა სპეციალისტმა მატჩის შემდეგ ისიც თქვა, ნაღდი პენალტი არ დაგვიდეს, ამაში ვიდეო გამეორებაც დაგარწმუნებთო.

„არც აღფრთოვანებული ვარ და არც დამწუხრებული. გასვლაზე ფრე ცუდი შედეგი არ არის. მეტოქესთან გამკლავება შევძელით, მასპინძლებს ბევრი მომენტი არ ჰქონიათ. ბოლო 15 წუთი ორი თავდამსხმელით ჩავატარეთ, რასაც შეეძლო, ჩვენთვის გამარჯვება მოეტანა, მაგრამ არ მოხერხდა" — ეს კი ჟოზე მაურინიუს სიტყვებია.

საბოლოოდ საბრძოლო ფრე და ველოდებით კვირას. რა ხდება კვირას? პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩებია, „ენფილდზე" ერთმანეთს „ლივერპული" და „ჩელსი" ხვდებიან...

**ანდერლეხტი 0:1 ბეტისი**

0:1 ოლივეირა (69)
**ანდერლეხტი:** პროტო, ვანდენ ბორე, დემანი, ტიინენი (აკინი 80), დეშახტი, ვილჰელმსონი, ვანდერჰაიგე (ბასეჯო 86), ზეტერბერგი, გოორი, მ. მპენზა, იესტეროვიჩი
**მწვრთნელი:** ფრანკ ვერკაუტერენი
**ბეტისი:** დობლასი, დ. რივასი (ნანო 73), მელი, ხუანიტო, ო. ლოპესი, ვარელა, რივერა, მ. ანხელი, ხისკო (ფერნანდო 77), ხოაკინი (ასუნსაო 90), ოლივეირა
**მწვრთნელი:** ლორენს სერა ფერერი
**გაფრთხილება:** დ. რივასი, ო. ლოპესი, ხუანიტო, ვარელა
**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)
21 278 მაყურებელი

**მხიარული** მატჩი გაიმართა ბრიუსელში. გუნდები ძირითადად შეტევაზე ფიქრობდნენ და მომენტები მრავლად იყო. თუმც გოლი მხოლოდ ერთი იქცა — 69-ე წუთზე ხოაკინმა მშვენივრად უპასა რიკარდო ოლივეირას და სევილიელთა ლეგიონერმა ზუსტად დაარტყა. ბრაზილიელს გატანის კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლა. რამდენჯერმე ბურთი მასპინძელთა კარის ძელს მოხვდა, ხოლო „ანდერლეხტის" კარის დარაჯმა იგორ პროტომ მრავალი რთული ბურთი მოიგერია.

უსაქმოდ არც ბელგიელები ყოფილან. ნენად იესტეროვიჩმა უკვე მე-2 წუთზე შეაზანზარა დობლასის კარის ხარიხა. მათ [illegible] კი რამდენიმე მომენტი გაანიავა. მათ შორის მატჩის ბოლო წუთებზე, როცა გათანაბრების მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა.

„ბეტისმა" ჩემპიონთა ლიგაში ისტორიაში პირველი გამარჯვება იზეიმა, „ანდერლეხტისთვის" ეს ზედიზედ მეცხრე მარცხია ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

**კოძი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

**H ჯგუფი**

**პორტუ 2:3 პეტრჟალკა**

1:0 ლ. გონსალესი (32), 2:0 დიეგო (39), 2:1 პეტრასი (45), 2:2 კოზაკი (54), 2:3 ბორბელი (74)
**პორტუ:** ბაია, ბოსინგვა, რ. კოშტა (ალანი 76), ბ. ალვეში, სეზარი, იბსონი, დიეგო (ალმეიდა 76), გონსალესი, კვარეშმა, ჟორჟინიო, მაკარტი
**მწვრთნელი:** კო ადრიანსე
**პეტრჟალკა:** ჩობეი, ბურაკი (ჰალენარი 46), ბორბელი, დურიცა ურბანეკი, ბლაშჩაკი, დებნარი, პეტრასი (სტანო 79), კოზაკი, ჰოდრეკი, ჰარტიგი (ობზერა 84)
**მწვრთნელი:** ვლადიმირ ვეისი
**გაფრთხილება:** პეტრასი, ჰოდრეკი, კვარეშმა, სტანო, ბოსინგვა, ობზერა, ჰალენარი
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
38 000 მაყურებელი

# დიდგულა პატარა ქალაქი



AFP მორფოტოდან

პორტუ — პეტრჟალკა 2:3. მატჩის შედეგმა პორტუგალიელები გააოგნა

**„ჩვენ** პატარა ქალაქიდან ვართ, მაგრამ დიდი გული გვაქვს" — თქვა ვლადიმირ ვეისმა, რომლის გუნდმაც „პორტუს" დრამატულ მატჩში მოუგო და ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. ბრატისლავის „პეტრჟალკა" ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია. სლოვაკებს საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლით მატჩებში გოლი არ გაეტანათ, ამჯერად კი ერთბაშად სამი შეაგდეს.

დამარცხებულთა მწვრთნელმა კო ადრიანსემ გულშემატკივრებს პატიება სთხოვა: „წაგებაზე მთელ პასუხისმგებლობას ვიღებ. მინდა, მოვუბოდიშო ფანებს, რომლებიც გაწბილებულნი დარჩნენ. მეგონა, რომ კარგად ორგანიზებული გუნდი მყავს, მაგრამ ასე არ ყოფილა".

კითხვაზე, აპირებს თუ არა „მილანთან" მატჩისთვის ტაქტიკის შეცვლას, ადრიანსემ უპასუხა: „არ ვარ ის მწვრთნელი, რომელიც ერთი მარცხის გამო ტაქტიკას ცვლის. „პეტრჟალკასთან" ურიგოდ არ გვითამაშია. 90 წუთის განმავლობაში უპირატესობასაც ვფლობდით. როგორც წესი, ასეთ მატჩებს ვიგებდით კიდეც და ახლა რატომ უნდა ვთქვა უარი არჩეულ ტაქტიკაზე"?

„პორტუს" დაარსებიდან 112-ე წლისთავზე მასპინძლებს ისედაც საზეიმო განწყობა ჰქონდათ და ამას შვიდწუთიან მონაკვეთში გატანილი ორი გოლიც დაემატა. ჩობეის მოგერიებული ბურთი კვარეშმამ ლუჩო გონსალეს თავზე დაასვა და არგენტინელმა ანგარიში გახსნა. მერე დიეგომ იყოჩაღა, როცა დებნარის სისწრაფეში აჯობა და სტუმრებს მეორე გაუტანა.

პორტუელები ტაიმის დასასრულს ელოდნენ, მაგრამ შესვენებამდე წუთით ადრე პეტრასმა ერთის გაქვითვა მოასწრო.

ვლადიმირ ვეისმა იცოდა, რომ მის გუნდს მეტოქესთან გამკლავება შეეძლო და მეორე ტაიმში მცველის ნაცვლად ფორვარდი, ჰალენარი შეუშვა, რომელმაც შეცვლიდან ცხრა წუთში საგოლე პასი მიითვალა, გოლი კი „პორტუს" მიერ უხეიროდ შესრულებულ კუთხურს მოჰყვა. ბურთი ჰალენარს მიუვიდა, მან კოზაკი მონახა, ხოლო კოზაკმა ვიტორ ბაია ჩამოიცილა და გაათანაბრა.

„პორტუ" ამაოდ ჩემპიონთა თასის შარშანდელ მფლობელს მოგება ეწერა, ბორბეიმ კი „პეტრჟალკას" გამარჯვებისა გაიტანა.

„ვიცოდი, რომ „პორტუ" ფლანგებიდან კარგად უტევდა, ამიტომ დიაგონალური პასებით თამაში ვარჩიეთ და ამ ტაქტიკამ გაამართლა" — განაცხადა ვლადიმრ ვეისმა.

**ინტერი 1:0 რეინჯერსი**

1:0 პიზარო (49)
